გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის

სხდომის ოქმი N19

ქ.თბილისი, 2018 წლის 5 ნოემბერი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **მაია ცქიტიშვილი** - საქართველოს ვიცე პრემიერი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე
2. **ქეთევან ციხელაშვილი** - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, კომისიის თანათავმჯდომარე
3. **ილია ბეგიაშვილი** - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი
4. **მზია გიორგობიანი** - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი
5. **ლია გიგაური** - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრის წარმომადგენელი
6. **მამუკა ცოტნიაშვილი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი
7. **ზაალ კაპანაძე** - საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი
8. **გიორგი კაკაურიძე** - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი
9. **გიორგი ხანიშვილი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი
10. **ნინო ენუქიძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი
11. **გოჩა ლორთქიფანიძე** - საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი
12. **ლაშა დარსალია** - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი
13. **ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანი** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრის წარმომადგენელი
14. **გიორგი თუმანიშვილი** - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი
15. **ზვიად ზვიადაძე** - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საკითხთა და სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი
16. **ირაკლი თოფურია** - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალიტეტის ორგანოებთან ურთიერთობისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი
17. **ქრისტინე უგლავა** - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, მუნიციპალიტეტის ორგანოებთან ურთიერთობისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დეპარტამენტის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის მდივანი

მოწვეული სტუმრები:

18. **გრიგოლ კაცია** - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე
19. **გიორგი ტაბატაძე** - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, მუნიციპალიტეტის ორგანოებთან ურთიერთობისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
20. **გელა ზოზიაშვილი** - საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენელი
21. **კონსტანტინე თავზარაშვილი** - გორის მუნიციპალიტეტის მერი
22. **მანუჩარ მერებაშვილი** - კასპის მუნიციპალიტეტის მერი
23. **ზაზა გულიაშვილი** - ქარელის მუნიციპალიტეტეის მერი
24. **გიორგი გურასპაშვილი** - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი
25. **გიორგი თანიაშვილი** - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე
26. **ბენიამენ ფალავანდიშვილი** - საჩხერის მუნიციპალიტეტის მერი
27. **ემზარ საბანაძე** - ონის მუნიციპალიტეტის მერი
28. **გიორგი ლუკავა** - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე
29. **მაკა გერანტია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის, ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენელი
30. **გიორგი ხოჯევანიშვილი** - შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი
31. **არჩილ ჯაფარიძე** - რაჭა - ლეჩხუმ ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი
32. **შალვა კერესელიძე** - მცხეთა მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი
33. **ბესიკ გოფოძე** - იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის მოადგილე
34. **ზურაბ გაბიძაშვილი** - იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის, რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი

კომისიის სხდომა გახსნეს კომისიის თავმჯდომარემ მაია ცქიტიშვილმა და კომისიის თანათავმჯდომარემ ქეთევან ციხელაშვილმა.

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა კომისიის მუშაობის მნიშვნელობაზე, ასევე კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს გააცნო ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისრტოს, მის დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციების მიერ, ასევე „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან" წინა წლებში განხორციელებული იმ მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ, რომლებმაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ცხოვრების პირობები. მან ყურადღება გაამახვილა აღნიშნულ სოფლებში საავტომობილო გზების, წყალმომარაგების სისტემების, სამედიცინო, სასკოლო და სხვა საბაზისო ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ განხორციელებულ მსხვილმასშტაბიან პროექტებსა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

კომისიაზე მოწვეულმა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ ბატონმა გრიგოლ კაციამ დამატებით ისაუბრა წყალმომარაგების უზრუნველყოფისათვის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში განხორციელებული პროექტების შესახებ, რომლის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მდგომარეობა გორის, კასპის და ქარელის მუნიციპალიტეტებში. ასევე მან ისაუბრა იმ უპრეცედენტო მსხვილბიუჯეტიანი პროექტების შესახებ, რომელთა განხორციელების

დაწყება დაგეგმილია 2019 წელს სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ მიერ. აღნიშნული პროექტები მიზნად ისახავს გორის, ქარელის, კასპისა და საჩხერის მუნიციპალიტეტების სოფლებში წყალმომარაგების სისტემების განვითარებას.

მოხსენების დასრულების შემდეგ, კომისიის თანათავმჯდომარემ კომისიას წარუდგინა პრეზენტაცია გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში განხორციელებული პროექტებისა და კომისიის საქმიანობის მთავარი მიღწევების შესახებ. მან შეხვედრის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაცია მიაწოდა კომისიის წევრი სამინისტროების და მათ დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციების მიერ კომისიის ფარგლებში, განათლების, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, მეწარმეობის და სხვა მიმართულებებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

.....

განიხილეს საკითხი N1:

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფის მიზნით ფინანსური დახმარების გაწევა
(მომხსენებელი: კომისიის თანათავმჯდომარე - ქეთევან ციხელაშვილი)

გადაწყვიტეს:

- გაგრძელდეს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახების დახმარება ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფისათვის;
- გათვალისწინებულ იქნას თანხის გამოყოფის შემდეგი წესი:

  ა) გამყოფი ხაზის მიმდებარე იმ სოფლებში, სადაც ოჯახები დარეგისტრირებულნი არიან აბონენტებად თანხის გამოყოფა მოხდეს რეგისტრირებულ აბონენტებზე;

  ბ) გამყოფი ხაზის მიმდებარე იმ სოფლებში, სადაც ჯერ არ დასრულებულა გაზიფიცირება, თანხის გამოყოფა მოხდეს მცხოვრები ოჯახის ერთ-ერთ წევრზე;

- ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები თითოეული ბენეფიციარისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის მოცულობა განისაზღვროს 200 ლარით;
- ეთხოვოს შესაბამის მუნიციპალიტეტებს წარმოადგინონ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ბენეფიციარების დაზუსტებული სიები;
- ეთხოვოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, მოამზადოს მთავრობის განკარგულების პროექტი გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით თანხის გამოყოფის შესახებ.

.....

განიხილეს საკითხი N2:

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების 2018-2019 სასწავლო წლის დაფინანსება

(მომხსენებელი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე - ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი)

გადაწყვიტეს:

- გაგრძელდეს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სწავლის დაფინანსება 2018-2019 სასწავლო წელს;
- ეთხოვოს შესაბამის მუნიციპალიტეტებს წარმოადგინონ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების დაზუსტებული სიები;
- ეთხოვოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მოამზადოს შესაბამისი განკარგულების პროექტი, მთავრობისათვის წარსადგენად;
- ეთხოვოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების 2018-2019 სასწავლო წლის სწავლის დაფინანსების მიზნით, დაფინანსების წყაროს მოძიება სამინისტროსათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში;

.....

განიხილეს საკითხი N3:

გამყოფი ხაზის სოფლებში არსებული საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მოსმენა
(მომხსენებლები: მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები)

კომისიის სხდომაში მონაწილე სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორებმა, მერებმა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა კომისიის წევრებს მიაწოდეს ინფორმაცია გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებული პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ.

გადაწყვიტეს:

- ეთხოვოს მუნიციპალიტეტებს კომისიის სამუშაო ჯგუფს წარუდგინოს მომზადებული დოკუმენტები გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში პრიორიტეტული, განსახორციელებელი პროექტების შესახებ. ასევე ეთხოვოთ წარმოადგინონ წინადადებები აღნიშნულ სოფლებში პრობლემების გადაჭრის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

.....

განიხილეს საკითხი N4:

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავების საკითხის განხილვა
(მომხსენებელი: კომისიის თანათავმჯდომარე - ქეთევან ციხელაშვილი)

გადაწყვიტეს:

- ეთხოვოს მუნიციპალიტეტებსა და კომისიის წევრ სამინისტროებს ა.წ პირველ დეკემბრამდე კომისიის სამუშაო ჯგუფს წარუდგინოს ანგარიში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მათ

მიერ 2018 წელს განხორციელებული ღონისძიებების შესახებ და ინფორმაცია 2019 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

- ეთხოვოს მუნიციპალიტეტებსა და კომისიის წევრ სამინისტროებს ა.წ 20 დეკემბრამდე, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის დოკუმენტში შეტანის მიზნით კომისიის სამუშაო ჯგუფს წარუდგინოს ხედვები და მოსაზრებები აღნიშნულ სოფლებში პრობლემების გადაჭრის შესახებ;
- ეთხოვოს მუნიციპალიტეტებს წარმოადგინონ ინფორმაცია გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით ადგილობრივ დონეზე შემუშავებული პროექტების შესახებ, დონორი ორგანიზაციებისათვის განსახილველად (ეს პროექტები გათვალისწინებული იქნება დონორებთან ერთად სპეციალური ფონდის შექმნის მიზნით დაგეგმილ მუშაობის პროცესში).

მაია ცქიტიშვილი — კომისიის თავმჯდომარე

ქრისტინე უგლავა — კომისიის მდივანი